ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5078645

ნომერი: AR1768589

თარიღი : 19.08.2020

გაცემის თარიღი : 25.08.2020

გაცნობის თარიღი : 26.08.2020

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დიღმის სასწავლო საცდელი მეურნეობა;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვასილ აფციაური პ/ნ 35001080181
- რუსთავი XXI მ/რ კორ. 2 ბ. 14

ორგანიზაცია:
- შპს "ნიუ ინვესტ გრუპ თბილისი" კოდი: 404965383

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- II კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 4975315
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 18.06.2020

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: რატი შენგელია

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ნიუ ინვესტ გრუპ - თბილისი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404965383
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ვასილ აფციაური
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 35001080181

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 520.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 398.0
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 238.1
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 205.7
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 4.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 28.4
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 744.6
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 744.6
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 0.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 8.05
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 6.9
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 1.15
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 288.4/52 =0.5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 244.4/520=0.5
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 231.6/520=0.4

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება დამასზე თანდართული დოკუმენტაცია, პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01. თქვენს მიერ ამჟამად წარმოდგენილია ს.კ 01.01.905 რეგისტრირებული ხაზოვანი ნაგებობის (6კვ. საკაბელო ქსელი) გადატანის სპროექტი. დამატებით საჭიროა წარმოდგენილ იქნას ხაზოვანი ნაგებობის მესაკუთრის (სს "თელასი") მიერ დამოწმებული განთავსების სქემა, უკვე შეთანხმებულ, გადატანილ, ხაზოვან ნაგებობასთან მიმართებაში.
02. თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე (http://maps.tbilisi.gov.ge) ხაზობრივი ნაგებობების ფენაში ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობა - წყალმომარაგების ძირითადი ქსელი საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით და შესაბამისად დამოწმებული გენგეგმა.
03. დამატებით წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტაცია.

1. წარმოდგენილ იქნას საინჟინრო კომუნიკაციების ქსელების (ელ-გაყვანილობის, გაზმომარაგების, გათბობა - ვენტილაციის, წყალმომარაგების და წყალარინების) სქემები.

2. წარმოსადგენია საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა.
ა) მიწის ნაკვეთის გეგმა, კვლევის ჩატარების წერტილების ჩვენებით;
ბ) მიწის ნაკვეთის გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები და სპეციფიკაცია;
გ) დასკვნა ან/და რეკომენდაციები მშენებლობის განხორციელების დოკუმენტებისთვის.
გაფრთხილება: საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა წარმოდგენილ იქნეს შესაბამის საექსპერტო შეფასებასთან ერთად.

3. წარმოდგენილ იქნას საპროექტო ობიექტის კონსტრუქციული სქემა

04.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.:
წარმოდგენილ იქნას განახლებული არსებული სიტუაციის ამსახველი, სხვადასხვა რაკურსიდან გადაღებული ფოტოსურათები.

05.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).:
საპროექტო შენობის განასენიანების ფართობი განისაზღვრება სართულის გეგმის გარე კონტურში მოქცეული ფართობით, აივნებისა და ტერასების ფართობების ჩათვლით. (შენობის განაშენიანების ფართობში არ იანგარიშება ეზოს მოპირკეტება და კიბე.

შენობის განაშენიანების ფართობი არის ყველა სართულის განაშენიანების ფართობების ჯამი.

06.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).:
მითითებულ იქნას +/- 0.00 ნიშნულს ქვევით სამშენებლო კუბურ მოსულობის მაჩვენებელი

07.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
გაითვალსიწინეთ რომ კ-1 მაჩვენებელი მრგვალდება მეათედის სიზუსტით.
ამჟამად წამოდგენილი კროკის შესაბამისა კ-1 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი შეადგენს 288.4, ხოლო კოეფიციენტი = 0.55, რომელიც მრგავლდება მეათესის სიზუსტით. შესაბამისად კ-1 კოეფიციენტი წარმოადგენს 0.6.
· გაითვალსიწინეთ რომ დაუშვებელია კ-1 კოეფიციენტი აჭარბებდეს 0.5-ს. საჭიროა დაკორექტირდეს საპროექტო დოკუმენტაცია.

08.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით). -> .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). :
შეყვანილ იქნას +/- 0.00 ნიშნულზე "4-5" ღერძებში განთავსებული საზაფხულო სივრცის წყალგაუმტარი მასალით გადახურული ნაწილი 1/3 ით.
ასევე საჭიროა სრულად იქნას შეყვანილ "დ-ბ" ღერძებში განთავსებული ფართი და ავტოფარეხი

09.შენობა-ნაგებობის ფასადები, მასშტაბი 1:100. -> .ფასადების pdf ფაილი.:
· წარმოდგენილ იქნას საპროექტო ღობის განშლა დეტალური ზომების მითითებით, გაითვალსიწინეთ, რომ სამშენებლო მიწის ნაკვეთის შემოღობვა დასაშვებია არაუმეტეს 2,2 მეტრი სიმაღლის ღობით, ამასთან ღობის ყრუ ნაწილი არ უნდა აღემატებოდეს გრუნტის ზედაპირიდან 1,8 მეტრს. ღობის სიმაღლეში არ იანგარიშება მისი კონსტრუქციული მდგრადობისთვის განკუთვნილი დგარები ან/და სვეტები, რომელთა სიმაღლე გრუნტის ზედაპირიდან არ აღემატება 2,5 მ-ს, კვეთის ზომები არ აღემატება 40 სმ-ს და დაშორება არ არის 2 მ-ზე ნაკლები

· ასევე წარმოდგენილ იქნას მიწის ნაკვეთზე აპროექტო საყრდენი კელდები განშლა და დამატებით დაანგარიშდეს საყრდენი კედლის მოცულობაც , რომელშიც იანგარიშება გრუნტის ქვეშ ჩაღრმავებული ნაწილის ჩათვლით (მისი კლასის დასადგენად), რადგან კლასის შესაბამისად შესაძლოა აღნიშნულზე საჭირო იქნას სანებართვო მოსაკრებელი თანხის გადახდა მშენებლობის ნებართვის ეტაპისათვის

10.საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული CAD ფაილი. -> .საპროექტო შენობა-ნაგებობის ვექტორული ფაილი AutoCad - ის ან ArchiCad - ის სახით. :
შესწორდეს ზემოაღნიშნულის შესაბამისად.

11.მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკი. -> .მშენებლობის ორგანიზების კალენდარული გრაფიკის pdf ფაილი.:
წარმოდგენილ იქნას მშენებლობის ორგანიზების პროექტი; გაცნობებთ, რომ კოდექსის 106-ე მუხლის პირველი ნაწილის მიზნებიდან გამომდინარე, მშენებლობის ორგანიზების პროექტი მინიმუმ უნდა მოიცავდეს:

- ა) თავფურცელს, ობიექტის დასახელებასა და მისამართს;
- ბ) განმარტებით ბარათს, შემდეგი ინფორმაციით:
- ბ.ა) სამშენებლო მოედნის ორგანიზების და მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების აღწერა;
- ბ.ბ) მშენებლობის რიგითობის, ეტაპების და მათი ხანგრძლივობის აღწერა საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილების მე-20 მუხლის შესაბამისად.
- ბ.გ) არსებობის შემთხვევაში, დაფარული სამუშაოების, დათვალიერებისა და გამოცდის აქტების ჩამონათვალი, რაც მშენებლობის პროცესის დროს უნდა შედგეს;
- ბ.დ) უსაფრთხოების უზრუნველყოფის მეთოდების და ღონისძიებების აღწერა.
- გ) სამშენებლო მოედნის გეგმას (მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვრების, სამშენებლო მოედნის საზღვრების, საპროექტო შენობა-ნაგებობის განთავსების, სამშენებლო მოედანზე სამშენებლო ტექნიკის მოძრაობის სქემის და განთავსების, ასევე სამშენებლო მასალების და დროებითი შენობა-ნაგებობების განთავსების ადგილების ჩვენებით);
- დ) მშენებლობის განხორციელების კალენდარულ გრაფიკს, მშენებლობის რიგითობის, ეტაპების და მათი ხანგრძლივობის მიხედვით: II კლასის მშენებლობისას – მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 ეტაპი.

მშენებლობის ორგანიზების პროექტში და გრაფიკში გათვალისწინებული იქნას მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ საქართველოს მთავრობის №255 დადგენილების მე-18 და მე-20 მუხლები.
გაითვალსიწინეთ:
წარმოდგენილი პროექტის მიხედვით გათვალისწინებული უნდა იყოს ორი ეტაპი, აღნიშნული სამუშაოები ზუსტად იქნას გადმოტანილი საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესი და პირობების მე-20 მუხლში განსაზღვრული ეტაპების შესაბამისად, კერძოდ I რიგის სამუშაოებში ორ ეტაპად გადმოიტანეთ №255 დადგენილების 20 მუხლის მე-4 პუნქტის „ა)“ და „ბ)“ ქვეპუნქტები.
შესაბამისად, პირველი რიგის სამუშაოებში გათვალისწინებული ეტაპები იქნება:
პირველი ეტაპი: ა) მოსამზადებელი სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია სამშენებლო მოედნის მოწესრიგებასთან, მათ შორის, ამორტიზებული ან სხვა არსებული ნაგებობების დაშლასთან და სამშენებლო ნაგვის მოცილებასთან, შესანარჩუნებელი მწვანე ნარგავების დაცვასა და მიწისქვეშა საინჟინრო კომუნიკაციების გადატანასთან;
მეორე ეტაპი: ბ) შენობა-ნაგებობის გრუნტზე დაკვალვა და ძირითადი ღერძების დაფიქსირება;
ასევე, ვინაიდან მშენებლობის ორგანიზების პროექტში შესაძლებელია მშენებლობის განხორციელების ძირითადი (მეორე) რიგის ეტაპების გაერთიანება, დაყოფა ან/და ამოღება (სამუშაოების არარსებობის შემთხვევაში), ამ დადგენილებით განსაზღვრულ შენობა-ნაგებობათა კლასების შესაბამისად, ეტაპები უნდა იქნას გაერთიანეული ისე, რომ გათვალისწინებული იქნას ობიექტზე კანონმდებლობით დადგენილი და პროექტით გათვალისწინებული ყველა სამშენებლო სამუშაო.
სამშენებლო ეტაპების დასახელებების ჩამონათვალის შედგენისას იხელმძღვანელეთ №255 დადგენილების 20 მუხლის მე-6 პუქტის შესაბამისად.

12. "მშენებლობის ნებართვის მოსაკრებელი -> .მოსაკრებელის რიცხვითი მაჩვენებელი:
გადამოწმდება კ-2 კოეფიციენტის დასუსტების შემდეგ.

არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.